



წახ. დონის

მამა: — მიპასუხეთ კონსტიტუციის ვის რომელი მუხლია მოგწონთ?
 ბაბუა: — მე ყველაზე მეტად მომწონს ის ეს მუხლია, რომელიც უზრუნველყოფს ფაქტობრივ მთავრობის წარსუცემლობის დროს...
 პიონერი: — მე კი ბაბუა ყველა მუხლს...
 ყველანი. — მართალია... მართალი..




მამსიმ

გოგკის

მხატვარი იყო საკვირველ ზედის,
მაუწყებელი ქარიშხალისა, —
კლასობრივ ბრძოლის, მებრძოლი დიდი.
მომღენი ქვეყნად ცეცხლის ალისა,
ძნელად დახატავს კაცი მის სურათს,
მან დიად მიზანს შესწირა თავი
და ბრძოლის გზაში თუმცა დადუმდა,
მაგრამ დარჩება ის პანთეონშიც
მხატვრად, მებრძოლად, მეგობრად მუდამ.

ლევან ბედნი

ჩინეთში მდინარე საიზემ — ვანოროსა და მხრეგალი მუშების 300 გვამი. ისინი მუშაობდნენ იაპონელების საიდუმლო სამხედრო სამუშაოებზე და ჩასძირეს მდინარეში იაპონელმა მხედრებმა იმ მიზნით, რომ არ გაეთქვათ მშენებლობის საიდუმლოებანი.



ვერ მიადწიეს დასახულ მიზანს, თუმცა ასობით გსწირეს ხალხი, და დაღუპულთა დედებს და შვილებს სამგლოვიარო ჩააცვეს თაღბი.

მტრის საიდუმლო გასცა მდინარემ, შეათამაშა ტაღლები ბროლის; ველებს უჩვენა გვამები მსხვრებლთა, ვით მოწოდება შურის და ბრძოლის.

გამოსავალი

ათინამი ერთერთი სასტუმროს შეკარეს, რომელმაც ცოლად შეირთო ირაქელი პრინცესა აზა, ქალის ნათესავებმა ასი ათასი გირვანქა სტერლინგი შეაძლიეს იმ პირობით, თუ იგი მეუღლეს გამოადება.

საქმე ხდება სამარცხვინო, უღალატა თვის ტომს აზამ, და შეკარეს, მან — „უგვაროს“ ვული მისცა, უთავაზა.

ყვანჩალები

ამერიკაში აღმოაჩინეს საიდუმლო ორ განიზაცია „შავი ლეგიონის ორდენი“. ორდენის წევრები ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ დაუნდობლად ექვლიათ ანარქისტები კომუნისტები, ებრაელები, და კათოლიკები.

ორდენია მართლაც შავი, უშავესი თავის ფეკით. ყვანჩალები შორს ფრენას, რომ ვერ შესძლებენ, კარგად ვეციით!

ვინ არ იცნობს ამ ტრიოს და ამ წმინდა სამეზას, რომ მსოფლიო კულტურას უქადის დაღამებას?

ერთ ნოტზე და ერთ ჰანგზე შესმატებულბულია. ერთმანეთის იმედით სულყველა დიდგულია.

არვის სვერა ამათი ტკბილი სიტყვა, ფიცია. მათი შავი ზრახვანი ყველგან კარგად იციან.

ორდენია მართლაც შავი, უშავესი თავის ფეკით. ყვანჩალები შორს ფრენას, რომ ვერ შესძლებენ, კარგად ვეციით!

უცხოეთის ქრონიკები

ინგლისურ ბურჟუაზიულ გაზეთებს მაისში ასეთი ხასიათის განცხადებები ამშვენებდნენ.
4 მაისს: ცეკვა ზაგშეთან ქალწულები, სასარგებლოდ. დაუნიგ-სტრიტი. დასაწყისი სალ. 6 ს. და 30 წ.
5 მაისს: ლედი ჩახიბილი აწყობს ცეკვას რესტორან „ტროკადეროში“.
ქორწინება. მის ვარიკელი გვირგვინს ფესკენის მისტერ ყვანჩილასე. წმინდა მარიამის ტაძარი, დასაწყისი სალ. 7 საათზე.
8 მაისს. სადილი და ცეკვა უბინათა სასარგებლოდ. რე-ტორან „ტილიუქური“.

12 მაისი: კენტერბერის არქიების კომპონას პარაკლისი მეფისწულის მიერ ფელდმარშალის კვერთხის მიღების გამო.
13 მაისი: დედებისა და ბავშვების სასარგებლოდ, ვულვიში, დილის 10 საათიდან, დღის 3 საათამდე.
ამავე დროს მუშათა ბრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე ასეთი ხასიათის ქრონიკა.
18 ივნისს ჰომერისმიტში (ინგლისი) ლმით მახრობელა გაზით თავი მოიწამლა დოროტი უორუნკმა. მანვე მოსწამლა თავის სამი მცირეწლოვანი ბავშვი. მოწამლის მიზეზი მატერიალური უმწეო მდგომარეობაა.
19 მაისს თავი დაიხრო ორი ბავშვის დედამ კაბილ კისტანში. მიზეზი უმუშევრობაა.

ბურჟუაზიულ ბრესაში განცხადებების ბეჭდვა გრძელდება:
3 ივლისი. მისის ედუარდ ბრეტი აწყობს ბალ-მასკარადს თავისი ქალისათვის.
4 ივლისი. ჭაკი ცხენების მფარველი საზოგადოება აწყობს ბალ-მასკარადს კოდოვანს აუერი 201, დასაწყისი სალ. 8 საათზე.
6 ივლისი. მისი ედუარდ ჩემბერლინი აწყობს ბალ-მასკარადს ვეტერინალურ დისპანსერის სასარგებლოდ სასტუმრო დოქტორის დიდ დარბაზში. დასაწყისი სალ. 5 საათ...
8 ივლისი. მის ტაბლონი აწყობს ბალ-მასკარადს თავის ქალისათვის.

წყაღებო

მართლია, მზეც რომ მზეა,
იმასაც აქვს თურმე ლაქი,
(ამას ვამბობ სხვათა შორის
მრითანა სიტყვამ რაჯი).

თორემ ლაქი რა შევამია
როცა მიიდა ლაპარაკი
ჩვენს იშვიათ წყალტუბოზე.

(არ გეგონოთ ეს არაკი).
ნამდვილია როგორც ეს დღე,
რომ ტფილისა მზისგან იქვია,
წყალტუბოში როცა მე ვარ,
დღით და ღამით სულ მუდამ წიქში.

მაგრამ ესეც სხვათა შორის,
აქ სულ სხვაა დღეს მთავარი,
არ ივარუებს, თუ აქ ფოსტას
არ ეღობენ ცრემლის ღვალი.



რა შემემთხვა რომ აქოდით
სულყველანი გაკვირდებით
თუნდაც იყოთ სულ მელოტი
დაგიდგებათ ყალფზე ამები.

იქ ყოფნის დროს სახლში მყავდა
დედა, ცოლი, კიდევ შვილი,
ეს ხომ მთელი ოჯახია,
იღვარდად გადაშლილი!

მათზე ფიქრი მიტაცებდა,
და სიზმარიც ცუდი ვნახე,
რა ვიცოდი თუ ფოსტაში
მეგებოდა თურმე მახე...



თითქოს ვეგდე მე კუბოში,
გარემოსგან მოწყვეტილი,
დღით შფოთავდა ჩემი სული
და არ მქონდა ღამით ძილი.

ნახ. ა. კანდელაკის



— მაშინო ახალი სათამაშო მომიტანე?...
— არა შვილი, საანგარიშო ჩოთქია, ახალი ჯამაგირით იმდენი რაზე ვიყავი,
დანახარჯი შეპირად ვერ შევაჯამე!...

დღეები კი დღეებს ცვლიდა
და არ მწერდა წერილს ცოლი,
სულ ფოსტაში ვეგდე დღე-ღამ
თან მიმჭონდა იქ საწოლი.

ცოლი გეგზავნე წერილები
თორმე ისიც ნშირად მწერდა,
მაგრამ აბა რა ვიცოდი
ფოსტა მტრულად თუ მიმწერდა.

დებეშასაც ვუფხანინდი
ყოველ დღე და ყოველ წუთში,
მაგრამ ალბათ დებეშებიც
ნაბიკეტენ მაგრად ყუთში.

ათში თორმე მხოლოდ ერთი
მოუტანეს ცოლს დებეშა
და როგორც კი წაიკითხა
დაიკივლა და გაზეშდა.

დებეშაში ახე ვწერდი:
ქლარას ვხვდები თქვენსებებს სახლში
მას მივლი სხვა დებეშა, —
ჩქარა ავადები მცემეს თავში.

მორეც დღეს ჩემთან ცოლი
ნამჭირალი სახით გაჩნდა,
მომხეცია დაბამტერდა...
და ნაცემი რომ არ მაჩნდა.

საყვედურო მომაცარა,
თან დებეშა მომცა ხელში,
მახელი საქმე რაშიც იყო
ჯან სამავლო აიოთ — ღეშ.



წყალორუბოში ჯანზე მოველ
მაგრამ ისეც გავხდი ავად
იქსურკი ფოსტის გამო
გადავიქცე მხოლოდ რუსად.



— ღმრთო, ხედავ, ეს ღმრთი როგორ მამასავით ღრიალებს!

ნარაზუნის „ამირან-ღარაჯანიანი“

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკ მული განგებანი და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ორშაბათსა, სამშაბათსა, ოთხშაბათსა, ამა სამსა დღესა უხმის ათას-ათასნი დიდებულნი წადიმსა ზედა... ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებდის. კვირასა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის.

ასე იწყება „ამირან-ღარაჯანიანი“, ინდოეთის მეფის აბესალომის ამბავი.



ოცივე ითქმის ნარაზუნის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე აგრონომ მიხეილ მელუაზედაც. იგიც შეიქმნა მეურნეობაში, მასაც ახვევია „დიდებულნი“, თავისი ამქრები, იგიც კვირაში მხოლოდ ერთ დღეს თუ დაჯდების და საქმეს განაგებდის, მაგრამ მაშინაც ანჩხლია და ჯიუტი.

— ჩვენც გავშალოთ სტახანოვეური მუშაობა! — უთხრეს მას მუშებმა.

— იცით თქვენ ვინ არის სტახანოვი? — შეეკითხა მათ მელუა.

— როგორ არ ვიცით! დონბასელი მალაჩოელია.

— ჩვენ სადა გვაქს მალარო? ვის გაუგონია სტახანოველობა ჩაის მეურნეობაში? ჩვენ მოსაკრეფი გვაქვს და არა ჩამოსანგრევი. თქვენ გინდათ დაანგრიოთ ჩვენი მეურნეობა?



— სტახანოვეური მუშაობა ყველა დარგში შეიძლება. აი, მაგალითად, სტახანოვერად მუშაობს მიწი თოდუა, რომელიც ჩაის კრეფის ნორმას 500-550 პროცენტით ასრულებს. სტახანოვერად მუშაობს შულაია, რომელიმაც დაბარვის ვეგმა 400 პროცენტით შეასრულა.

— მაგნი თუ სტახანოველები, აოიან, აი, ნახაეთ! ხვალ ისეთ სამუშაოზე გადავიყვან, რომ სულ დაივიწყონ თავისი სტახანოველობა. ყურულამაც დაიჩემა სტახანოველობა, მაგრამ ხელი იტყინა. ასე იცის სტახანოველობამ, ასეთია მისი შედეგი.

— ხელი თქვენც კი გიტყენიათ ღვინის სმის დროს ცარიელი ბოთლების სროლაში, მაგრამ რა შუაშია აქ სტახანოველობა?

— იმ შუაშია, რომ მეც ვარ სტახანოველი ღვინის სმაში! — და უცბად ციბრუტეით შემოტრიალდა მიწა. — მომგვარეთ ცხენი! — გაცა მან განკარგულება.

როცა ცხენი მოგვარეს, თავი არსენად წარმოიდგინა.

შეჯდა თავის ლურჯაზედა, გააჭენ-გამოაჭენა. გააჭენ-გამოაჭენა და საპარიკმახეროში შეაჭენა.

— დასწყევლოს ღმერთმა, მე სასადილო მეგონა! — თქვა მან და ისევ გამოაჭენა და შეაჭენა სასადილოში.

— ლიმონათი! — დაიყვირა მიწამ. მოართვის ლიმონათი და ჭიქა.

— მე რათ მინდა ლიმონათი? როდის იყო რომ მიწა მეღლა ლიმონათს სვამდა! — და გაბრაზებოლმა მიწამ მსახურს ხელიდან გამოსტაკა ლიმონათი და ცხენს დაალოჯინა. თითონ კი ღვინო გადაჭრა შემდეგ ცხენსაც გადაჭრა მათრახი და...

აი, ახლა კი მიწამ თავისი თავი „ვეფხის ტყაოსნის“ ტარიელად წარმოიდგინა.

მონათა ხელი გამართეს მის ქრისა შესაპრობელად... ზოგსა გრდაჭრეს მათრახი მკერდამდის ვასაპობელად.

ქსენოზანა პერაკსინს

დღე ნიადაგ შენ განტრულობ, მარჯალიტის თვალივით ყოველ წამს მოსაგონარო, სახლთა ტრესტის ვალივით.

როინჰესივით ნათელი, ბრწყინვალე ხარ მხესავით საამო და სახალისო გამოსასვლელ დღესავით.

ის არ ვიყავ ახლა რაც ვარ, გჭრები ყალიონივით, ჩემს წერილებს ცეცხლში რად სწვავ ჩვენი ფოსტალიონივით?

პაემანზე გამომიყვან, გამანმობ შესასავით. ყოველთვის გვიან მოდიხარ ელვა-დებეშასავით.

ეს მკლავები, კლავიშები, თეძოები ლახტივით, როცა განხავ დაეშლები „საქავეჯის“ ტახტივით.

ყაჭის ძაფით დამიბიხარ ამოსათხარ კბილივით, ბეჩა რაზე გამიბიხარ ჯანპუნქტის ექიმივით.

გენაცვალოს ქსენოფანე, რა ლაზახი და კობტა ხარ. გავიგე და ვადვირიე, პარამუტით გადმომბტარხარ.

ბეჩა, რაზე მეტუტები, თეღლეს პატარძალივით? მთლათ ნუ გაუგებურდები „ტვილსოფლმრეფის“ წყალივით.

დონ-კიხოტი

გზაზე ავტოს შეხვდა და არაჩინოვებულნი ძანა:

— კულა ილიოშ, საითყენს! მან შოფერს მარშრუტი შეაცვლევინა და სასადილოს წინ გააჩერებინა.

— შენ თქვი ბენზინი არა მაქვსო? — ჰკითხა მან შოფერს.

— ძალიან ცოტა!

— მოიტა სამი ბოთლი ღვინო! — ბრძანა მიწამ.

ბრძანება შესრულოდა.



მიწამ საძივე ბოთლი ღვინო მინქანას „გადააკრეფინა“, — ბენზინის მაგიერ ღვინო ჩაასხა.

— ღვინო ბენზინზე უკეთესია. — თქვა მან და შეუღდა ჭიქებს.

შეიქმნა ხმა და პურობა, შავისი მათისა ძალისა. სხვა განხარება ასეთი არს უნახავი თვალისა, ფირუზისა და ლალისა, არ ვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალითა.

სასადილოდან თვალი მოჭკრა მეურნეობის ღორებს.

— რამდენი ხანია არ მინადირია! — გაიფიქრა მან და მოახტა ცხენს.

— თუ ძმა ხარ შენი „ცენტალკა“ მათხოვე! — თხოვა მან ხარბადიას თოფი.

როცა თოფი ხელთა იგდო, ის გაიჭრა მინდორ-ველად, ესროლა და დედა-ღორი იქვე მოკლა მიწამ ხელად.

— არ ვარგებულა ეს თოფი ერთ გასროლაზე მხოლოდ ერთი მოკლა! — თქვა მან და თოფი იქვე მიაგდო.



ამის შემდეგ მიწამ ტარიელ მკლავადედ წარმოიდგინა თავი და ღვინისგან განახურსა მოესურვა ქალთა ტრფობა. მუშა-ქალებს დაერია. და მოსთხოვა თანაგრძნობა. ერთს მიუხტა... შემდეგ სხვებსაც. თითქმის ყველას მიაშურა. რა ვერ მიწვდა საწადელსა, მოხსნა ლიდა, კატო, შურა.

ჩვენც აქ გავჩერდეთ — მოხსნაწმ, ეგებ ამ სიტყვის არსებობა მოგავიწყდეთ მათ, ვისაც ენება ნარაზუნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოვლა-პატრონობა.



— ახლა კი ნაშვლილი ოლიგარქები ვართ.

რ კ ა ლ ე ბ ი

გამიგონა ერთი ხუმრობით გამოთქმული ფრაზა: „ცოლიანს ცოლი გაექცეს — უცოლოს — ცოლი მიეცეს“. ამ ფრაზას უფრო სწორად სადიფერძილოს სახით გამოსთქვამდნენ თემბუშემოლელური ტოლუმბაშები. ხიანში ცოლიანს რომ ცოლი გაექცეს, უცოლოს რომ ცოლი „მიეცეს“ არაფერს გაკვირდება, მაგრამ ამერიკაში კი ამ ფრაზას სხვაგვარედ გამოსთქვამენ. ზევით ნათქვამი ფრაზების ვარიანტი ასეთია:

უცოლოს ცოლი რად უნდა, ცოლიანს ცოლი გაექცეს

ამის მიზეზი ის არის, რომ ცოლიანობა ბურჟუაზიულ ამერიკის ენაზე ნიშნავს უმუ-

შევარი ცოლის შენახვას, რჩენას, რადგან ქალი გათხოვებისთანავე კარგავს სამსახურში ყოფნის ან დარჩენის უფლებას. აი რას გადმოგვმცემს ამის დასამტკიცებლად ამერიკული გაზეთი „კარენტ კონტროლერსი“.

„მასწავლებელ ქალების 63 პროცენტს გათხოვებისთანავე ითხოვენ სკოლებიდან. დანარჩენი 37 პროცენტი კი მასწავლებლის თანამდებობას კარგავს სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ“.

ამ „კანონის“ წყალობით ქალი იძულებულია არ წაყვეს ისეთ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად არ არის უზრუნველყოფილი და თუ წაყვა, შეიძლება კიდევ გაექცეს,

რადგან უმოშვერად დარჩენილს სიმშლილი ეძოქრება. ეს მოვლენა, რაც საცხებით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, ოჯახის და მშრომელი ქალთა ინტერესის დაცვის საქმეში კაპიტალისტურ მეურნეობის ყრიზისით არის გამოწვეული.

მისი წყალობით ამერიკელი ქალები, რომლებსაც ვერ მოუნახავთ სიმდიდრის უზრუნველყოფელი ან „მარჩენალი“ საქმაროები, თავს ალბათ ასეთი ჰაერით ირთობენ:

არ გავთხოვდე, არ იქნება, გავთხოვდე და რითი? ქმარს თუ ვნახავ, საშახურის მიკარგება მითი

მას აეკილა ზურგზედა თავისი „უნივერსალი“... წავიდა პეტრე, წავიდა, დაგვტოვა ჩვენი და ბაღი.



როგორც ბებიამის დაბადება არ მან-სივს ხეირიანად, მიუხედავად იმისა, რომ მის ქორწილში მაყრად ვიყავი, ისევე არ მახსოვს კარგად, როდის დაიწყეს „სოიუზკო-ოპერაციის“ სანიმუშო მაღაზიის მოწყო-მა-გაყვება რუსთაველის გამზირზე.

ყურები გამოჭედილი გქვონდა მისი განს-ნის აურზაურით. ამ დროის განმავლობაში ყურის დაავადება (გამოჭედვის გამო) ისე გა-იზარდა, რომ ყურის სწეულებათა ექიმებს ზამჯერ გაუდიდდათ შემოსავალი.

— კაცო, ფეხსაცმელი აღარა მაქვს, მიყი-დე ტუფლები. — მითხრა ცოლმა.

— დეიდადე, გენაცვალე, აგერ „სოიუზ-კოოპერაციის“ მაღაზიის მაღაზიას და მერე მე მკითხე შენი პატივისცემა. — დავაიმედე ცოლი.

— მაშ ბავშვებს მაინც უყიდე.

— ბავშვებსაც მაშინ ვუყიდი იცი რა მა-ღაზია იქნება? ქვეით უკეთესი. რანაირი ფეხ-საცმელი გინდა, სულა და გულა, რომ იქ-არ იქნება და ისიც ვოველგვარი ორდერისა და რიგის გარეშე.

— „ნეტარ არიან მორწმუნენი“. — მაინც არ იშლიდა ცოლი თავის სკეპტიკოსობას.

და გაიხსნა როგორც იქნა მშვენიერი მაღაზია. როგორც შიგნით ისე გარედ ძვირფასი და ღამაზია. მაგრამ შესვლა შიგ არ გინდა? პრობლეტიდან ვინ გაკარებს! მოუარე გარშემო, — გირვენებენ ეზოს კარებს.



ყარაული დააყენეს, პეტლებით და ჯინჯილითა, გულმოსული კლიენტები სულ დახოცა... სიცილითა.

ეჰ, ძველ ფეხსაცმელს მივტყირი, რომე-ლოც აქ დამარჩა ეზოში წესელის ოროს, თო-რემ რიგში ჩამტვრეული გვერდები აღბათ ჰამირჩება.

ერთ ალაგას ყური მოგვარ ორი ბოთლის ლაპარაკს. ვიცანი, ერთ ბოთლში იჯდა იოხება იუზბაშევი, აი ის, „გასტრონომის“ მე-5 მაღაზიაში რომ მუშაობს. მეორე ბოთლში კი ორნი იჯდნენ. ესენიც ვიცანი: ბიქტ. კიკაბიძე და აკაკი თავართქელაძე. რომლებიც მოღვაწეობენ არტელ „სასადგოო პის“ ღვინის წერტში პლენხანოვის გამზ. №75 თუზბაშევი ღვინის ბოთლში მოთავსებული, ხოლო ორნი უკანასკნელი — არყის ბოთლ-ში.

— ბოთლ ღვინოზე 25 კაპიკს მეტს ვაბ-დევიებ მუშტარს და ამით....

მაგრამ მას სიტყვა არ დაესრულებინა კი-კაბიძემ:

— ჩვენ კი 15 მანეთიან არაყს 22 მან. 50 კაპ. ვყიდით და მოგვბაც ბლომად რჩება.



სპირტი სჯობია ღვინოსა. გახრწნიდან იხსნის გვაშხაო. იცოდე, მეტის მქაფავი, ყაველთვის მეტხად სჭამსაო

მშვიდობით, პატრე

აღმართ-აღმართ შევუყვები მე ნელა თუმცა ასელა მთა-წმინდაზე მეძნელა. ჰოდა, რაკი ასე გამოჭირდა, ჩამოვჯექი ბე-იკის ბაღში. მოსივე სახელობის მოედანზე.

წინად ვაჭრობდა აქა მეფიქა (აცხონოს ღმერთმა, გავვაძრო სიქა!) მერმე „კოლოპი“, ბოლოს „საქკვება“ (და უფრო სწორად რომ ვთქვათ „თვითკვება“).

იყო „ბოეციც“ და კომუნარი (უკანასკნელი ანლაც კი არი). ჰოდა, დაკეტეს თქმის სულყველა თანდათანობით და ნელა-ნელა.

მაგრამ მთაწმინდელებს მაინც დარჩათ ერ-თი პატარა იმედი. ეს იყო ინვალიდთა არტე-ლის ფარდული და მისი დირექტორი რო-გორც თითონ ამბობდა ხუმრობით თუ სი-რიოზულობით, პეტრე ოქროსყანელი, რომ-ღმადგანაც ადგილობრივი დიასახლისები ქინ-ძსა და პრასას ყიდულობდენ, ხოლმე ბავშვე-ბი — „სემიჩქას“.

ახლა ეს პეტრეც აღარ არის. დილათ გავიარე, პეტრეს „უნივერსალი“ (ასე ეძახო-იგი თავის ფარდულს) ვაჭრობდა.

— გავასწენდებით ვინეს? ვაჭრობის ვაჭროს? ამ ზაფხულ-შემოდგომაზე ვაჭრობენ ბოსტნეულობას? — არ, მთაწმინდე-ლების თავსატეხი საკითხი.

ნიკოლას სიმღერა

ბოსტნეულ-მწვანეულობის ბაზარში ჩაგია რე. სიმღერა მომესმა და დავაყურე. ნიკო-ლა პაპიძე მღეროდა:

მემწვანილე ხელობითა ვიქმნ საქმესა ამაღარი. რასაც დღეში მე ვივაჭრებ, ჩემი არის ნახევარი.

ამ ჩემ არტელს „ბარცხანოსო“ განაცვალე ჭივჭანასო.

კიტრი, პრასა, ოხრახუში, ტარხუნა და ნიახური. თუ კი ქაფი არ ვადინე, რით დავლიო მე კახური?

ამ ჩემს არტელს „ბარცხანასო“ განაცვალე ჭივჭანასო.

„მავადმოდირავენი“

— ჩვენი სავაჭრო, „ტვილაღმრეწვის“ მე-5 წერტი ყველაზე უფრო გეთილოწყო ბილია მთელ ტვილისში. ამიტომ, ლოგიკუ-რად, მეც მისი გამგე, ყველაზე უფრო კე-თილოწყობილი ვარ ჩემს კოლეგებში ქაფის მხრით! — დამიწყო ლაპარაკი ალექსანდრე მიშველიძემ. საქმე იმაშია, რომ 1-15 ივნისის განმავლობაში 7.837 მანეთის ქაფი გავიმას-ქენი. მოგეხსენებათ ლუდი ცნობილია ქაფით!

— და აქ ექსტრანში მოსუომა გამგემ არია უმღერა ქაფს:



არ გავცვლი ჩემსა ლუდხანას სხვა ქვეყნის სამოთხეწელა არ გავცვლი ქაფსა ლუდისა უყვდავებისა ხეწელა. მე მირჩვენია ეს ლოოი გადმოღის უხვად ქაფია ღმერთმა მაშოროს თავიდან პანღური და ნიახვია.

3. ონტოფელი

იაშა მარცხანე, ტფილისელი მოფერი, ამერიკაში მიაღწინეს რომ გასცნობოდა ქუჩის მოძრაობას.

დადიოდა იგი ამერიკის ქალაქებში და ხედავდა უამრავ მანქანებს, რომლებიც დამფრთხალი ჭიანჭველებივით დარბოდნენ იქით-აქეთ.

— ტფილისში ჯერ არ არის ასეთი მოძრაობა, თორემ ამდენხანს ჩვენი მოფერები ბევრს გაიტანდა,

სწორედ ამ ფიქრებში იყო იგი, რომ ერთი ქუჩის მოსახვევში უამრავი ხალხი მოგროვდა.

იაშამ მოიხედა და შემდეგი სურათი დაინახა:

მგზავრებიანი მანქანის ქვეშ ვიღაც მოქალაქე ევლო. მაყურებლები, მანქანის მგზავრები და მოფერიც კი იცინოდნენ და ბევრი მათგანი ტაშსაც უკრავდა. იქვე არხენიან იდგა პოლისმენი და იგიც ილიმებოდა.

ბევრი რამ საკვირველი სანახაობა უნახავს იაშას, მაგრამ ასეთი არასოდეს.

— მანქანამ კაცი გაიტანა, ამას ხედავენ და მიშველებს მაგიერ, იცინიან. ეს რომ ტფილისში მოხდეს, მთელი ქუჩა ფეხზე დადგება; ზოგს გულიც კი წაუვა; მოფერს

დააპატიმრებენ. აქ კი უკრავენ ტაშს? ნეტა ვის უკრავენ ტაშს? ალბათ მოფერს! .. რა გულქვა ხალხი ყოფილან ეს ამერიკელები! იაშამ დააპირა მიშველება, მაგრამ მანქანის უკანა ბორბლებმაც გადაიარეს მოქალაქეზე და... თი საკვირველებმაგ!... მოქალაქე



ცაბრუტივით წამოხტა ზეზე და ტანსაცმელიდან მტვერი ჩამოიფერთხა. ტაშმა ისევ იგრიალა. გადარჩენილმა მოქალაქემ ქუდი მოიხადა....

— ალბათ მადლობას უნდის შეაღწას... რაიმე გახარდათ მისი გადარჩენა! — გაიფიქრა იაშამ. მაგრამ მოქალაქემ ქუდი მათხოვარივით გაუწოდა ხალხს. ქუდში ჩავარდა რამდენიმე ხურდა ფული, რომელიც მაყურებლებმა მისთვის გაიმეტეს.

ამ ამბავმა მეტად გააკვირვა მარცხანე, გააკითხა და გაიგო რომ:

„ამერიკელი ბოსფორდი, რომელსაც უდიდესი ღონე აქვს, თავს იმით იჩენს, რომ ავტომობილებს უწევს ქვეშ. ამას იგი თვლის „მსუბუქ სამუშაოდ“. მან ისე გაწვრთნა მუცლისა და ზურგის მუსკულები, რომ უძლებს მგზავრებიანი ავტომობილების გადარბენას.“

(„ზა რუბეუომ“)

ამ ამბის გაგების შემდეგ იაშას ფიქრები ტფილისში გადმოვიდა.

— ერთად ერთი საშუალება ტფილისში მარცხის მოსასპობად ის არის, რომ ტფილისელი მოქალაქეები ბოსფორდებად გადაიქცნენ. ტფილისელებმა ისე უნდა გაწვრთნან თავის სხეული, როგორც ეს ბოსფორდმა შექნა. მაშინ მათ ვერაფერს დააკლებს მანქანა, როცა ჩვენი თუ შემთხვევის დაუდევრობით ისინი ერთ მშვენიერ და მოულოდნელ მომენტში აღმოჩნდებიან მანქანის ქვეშ!

თი ამ ფიქრებით ბრუნდება იაშა ამერიკიდან ჩვენიკენ.

მარილის ფასი

ამბავი სრულიად უბრალოა. აუარებელ ვაგონებს შორის, ერთი იმათგანი №-328265 მარილით დატვირთული ნახიჩევანიდან მიადგა გორს. შედღებული № 126809 ამტკიცებდა, რომ მარილი ეკუთვნოდა ცხინვალს.

ვინაიდან ჯერ რკინისგზა არ არის გაყვანილი გორიდან ცხინვალამდე, „მომხმარებელთა კავშირის“ წარმომადგენელი მ. მარლიშვილი მივარდა „კავშირტრანსის“ გამგე განხვერდოვთან და მარილი ცხინვალში გააგზავნა 5 მანქანიო.

სამი კვირის შემდეგ მარილი უკან დაბრუნდა „მომხმარებელთა კავშირის“ გამგე გიკის განკარგულებით და შეინახეს ისევ გორში.

ერთად ერთი კაცი რომელმაც იცის მარილის ყადრი და ფასი ეს არის გიკი

ხომ ცხადია რომ უმარილოდ არაფრის ჭამა არ შეიძლება.

და დაფიქრდა გიკი. განა სირცხვილი არაა, ასეთი ძვირფასი და აუცილებელი რამ ასე იაფად იყიდებოდეს?

„ალზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო, ჯერ დედას გადავხვებო, მერმე შეილსა და ცოლსაო.“

ეს სიმღერა ამტკიცებს, რომ ალზევანს ურმით მიღოდნენ მარილის მოსატანად. ეს იყო ძველად. დღეს კი ვინ იფიქრებდა ალზევანს ურმით წასვლას?

ბოლოს, რა თქმა უნდა, დიდი დავიანებით და უამრავი ზედმეტი ხარჯით მარილი ისევ ცხინვალში მიიტანეს. ყველაფერი რომ წესიერად და დროულად მომხდარიყო, მარილის ღირებულება დაეცემოდა, რადგან იგი იაფი ელირებოდა.

ამიტომ იყიდება ცხინვალში მარილი ასე მვირად.


სიმონ-აღა

ნოსირის რკ. გზ. ბაქანი

ნან. დონინ



— რას ჩაიცებიხარ! ხომ უყურებ, რომ ხურდას არ იძლევა?
— როგორ არ იძლევა! ვერა ხედავ — ცხრა სართულიან გინებას ამბობს! ხურდას მა რა ჯანდაბაა?!



შოქ. კონო კონსოკაძე მწერდა:

— ამხ. ქიშვარდი! ვიცი რომ თქვენ ნიან-განს უახლოესი მეგობარი ხართ. თქვენი მეოხებით მინდა გავხედო „ნიანგის“ თანამშრომელი. პარველად გიგზავნი ჩემს პატარა მოთხრობას „სიღვეან და კლარას“ სათაურით. იმედი მაქვს შემისწორებთ და დაბეჭდავთ!

ჩვენც ვასრულებთ კონსოკაძის თხოვნას და ვბეჭდავთ ამ მოთხრობას შემდეგი მოსაზრებით:

1. კონსოკაძემ აიღო ერთერთი სარაიონო ვაწიეთში მოთავსებული ფელეტონი შ. ა-სი და პატარა მოთხრობად გადააკეთა. ჩვენ გვინდა ამით კონსოკაძის პლასტიკურობა გამოვაქვეყნოთ.

2. თავისთავად შემთხვევა, რომელზედაც იყვებოდა კონსოკაძის „ნაწარმოები“, სინტურესოა და ენება ჩვენი ყოფა-ცხოვრების მტკიცებულ მხარეს.

სიღვეან და კლარა

ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს, ზურულ სივანში წვეულებაზე, სიღვეან და კლარა შეხვდნენ ერთმანეთს. სიღვეანს ქალი ისე მოეწონა, რომ მაშანვე გულში ჩაუფარდა, კლარა ჩიტივით აფრთხილდა, მაგრამ გვიან იყო. სიღვეანს ვერსად გაეშტაცებოდა.

— კლარა, ჩემო მშვენიერო, მიყვარხარ გაგიყვებით. ნუ თუ ადამიანური ვრძობა არა გაქვს? უშეროდ მე დავალკოვები. მე რომ რამე შემეძებნე, ჩემს ცოლშვილს რა ეშველე ბა?... არა, ცოლს კი არა, ცოლი რა შუაშია, დიან. მოკრდა... დავმარხე კიდევ... შენ გიყვირს? არა, მართლა კი არ მომიიარა, მაგრამ ჩემთვის მკაიარია. მე ის არ მიყვარს, ამა რა ეშმაკი შემაყარებს, როცა შენ ვიმზერ?... შენით ვტყებები შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ. ვფიცავ სინდისს და პატიოსნებას, რომელიც ისე მალეღვემს, რომ მზად ვარ, ერთ ქორი წიწილას, ავტაცო და დავკორტნო... ვფიცავ ამ მშვენიერ ბნელ ღამეს. *) რომ მიყვარხარ კლარა, მიყვარხარ შენ და მხოლოდ შენ!

კლარა დუმდა. მას თავი ჩაქინდრა და ფიქრები ეხვეოდნენ. იდუმალი ხმა ჩასძახოდა.

— არ შესცდე კლარა, არ ენდო სიღვეანს! კლარა უარზე იდგა.

ჯერჯერობით არ მინდა ოჯახს მოვიკიდო ხელი. მინდა ვისწავლო ვიმუშავო.

— მოკვდეს სიღვეანი თუ მიზანს ვერ მიაღწიოს.

სადაც სიტყვა ვერ ივარგებს, უნდა სჭრიდეს ჩემი ხმალი.

მე სიღვეან ვასაძესა რას მეყოფა ერთი ქალი?... თავისთვის ღიღინებდა სიღვეანი და საშოალებებს ეძებდა ქალის დამორჩილებისათვის.

— სერბი სჯობია ღონესა, — ნათქვამია და სიღვეანმა სერბით იძულებული გახდა კლარა მორე ცოლად წაყოლოდა მას. სიღვეანმა ის თავის ოჯახში წაიყვანა, პირველი ცოლი კი სადაც გაისტუმრა.

ცოტა ხნის შემდეგ სიღვეანი და კლარა ტოილისში გაემგზავრენ.

კლარა ტფილისში დასტოვა. თვითონ კი ქ. მახარაძეში დაბრუნდა, და პირველ ცოლთან განაგრძობს ცხოვრებას.

— სიღვეან რატომ დამოღებ? რატომ მომატყულებ? — შესწივლა რთილისიდან დაბრუნებულმა კლარამ სიღვეანს, — რატომ წამიყვანე თუ ჩემთან ცხოვრება არ გინდოდა?

— იცი რა ვითხრა! შენ ხომ კომკავშირელი ქალი ხარ? მე კი — პარტიის კანდიდატი. დღეს თავისუფალი სიყვარულია, ეს იმას ნიშნავს რომ, როცა გინდა შეიყვარებ, როცა გინდა ვაიყვარებ. შენ შეგნებულნი ქალი ხარ, განა არ იცი რომ ყოველთვის მოკოლადის ქამაც მოგებზრდება კაცს?

სანამ ვარ, ასე ვახარებ ჩვენსა ვარდსა და იასა. მოვკვდები გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა.

ერთ მშვენიერ ღამეს, სწორედ ისეთ ღამეს, როცა კლარა და სიღვეანი შეხვდნენ ერთმანეთს, კლარას გადაეწვეტა ქიშვარდი ვიქტორის ტალღებში მოენახა თავის საშოადად ბინა

— კლარა, კლარა! — მოესმა მას ხმები. მასთან იმ წუთს რამდენამე კომკავშირელი იდგა. მათ კლარას ხელი მოხვიეს და შინისაკენ წაიყვანეს.

აქ წყდება კონსოკაძის მოთხრობა. მკითხველმა არ იცის რა მოხდა შემდეგ.

აღბად ავტორი წერს მოთხრობის მეორე ნაწილს, რომელიც შეეხება სასამართლოს გაწინასწარ ამ საქმის შესახებ.

ქიშვარდი

თავხელი მეზღვაური

სანამ შევეუბნებოდით ამ არაჩვეულებრივ ისტორიის გადმოცემას, ავტორი საჭიროდ ცნობს აღნიშნოს, რომ ის ღრმად დარწმუნებულია თანამედროვე გერმანულ გაზეთების კითხვის სარაილიანობაში. დიდი ხანი არაა რომ მე ვათვლიდებოდი „დანიკველ ფოლკშტიმმეს“ კომპლექტს და აი, თებერვლის ერთ ნომერში მე წავეწყვი ერთ საინტერესო სასამართლოს ანგარიშს.

ჰამბურგში ცხოვრობდა ერთი მამაცი მეზღვაური ოტტო შნიცე. ის იყო ჯანსაღი ახალგაზრდა.

ერთხელ იგი ავად გახდა ექიმთან წასვლა დასჭირდა.

— რას უჩივით? — შეეკითხა ექიმი. — გაიხადეთ! დაწეკით!

მეზღვაური მორჩილებით ასრულებდა ექიმის ბრძანებებს. ექიმიც ვულდასმით სინჯავდა, უსმენდა, უკაუნებდა, ხან სუნთქვას უბრძანებდა, ხან გარინდებდა, ოტტო შნიცე მთელ ამ პროცედურას წინააღმდეგობის გაუწყველად ასრულებდა. ის იყო დისციპლინის მორჩილი ახალგაზრდა.

— გადამბრუნდით ზურვით ზევით!

აქ კი შეჩერდა დამჯერი ავადმყოფი, მან უარი თქვა წინააღმდეგობა გაუწია, არა, მას არ სურს დაწვეს ზურვით ზემოდ, მას არ უყვარს ასეთი პოზა. ის სთხოვს ექიმს გაანთავისუფლოს ამ დავალებიდან მით უმეტეს რომ ზურვი და სხვა მასთან დაკავშირებული ნაწილები მას საყვებით ჯანმრთელი აქვს და ექიმს არაფერი დარჩენია იქ გასასინჯი.

ექიმმა შეუწყნარებელი ღმილით უპასუხა ხა მეზღვაურის უზრდელობას და დაჟინებით მოსთხოვა ზურვის ჩვენება. ოტტო შნიცე იძოლებული იყო დამორჩილებოდა. ექიმმა შეხედა და გაჭკვავდა. ამის მაგვარი მას არაფერი ენახა მთელს თავის ცხოვრებაში.

როდესაც პატივცემულ მკურნალი გონს მოვიდა, მან დატოვა თავის კაბინეტში შიშველი მეზღვაური, გაიქცა უახლოეს საპოლიციო უბანში და შიშისაგან აცანკებულმა უამბო მათ ის, რაც ნახა რამდენიმე წამის წინ მეზღვაურის ოტტო შნიცეს სხეულზე ზურვის ქვემოდა.

პოლიცია დაფაცურდა. ოტტო შნიცე დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს. მას ბრალი ედებოდა საპროპაგანდო დანაშაულში, რომელიც საზოგადოებრივობის მყუდროებას დარღვევას უქადდა. ის გაასამართლეს. გაასამართლეს სხეულზე მავნებლური

წარწერების გამო, რომელიც მას ქონდა გამოსახული ტანზე ზურვის ქვემოდა.

აქ იყო სურათების მთელი გალერეია; ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გამორჩეული მესვეურების პოპორტრეტები.

აღვლი, რომელიც თავზედ მეზღვაურ ამოიჩინა საპატრუცემული მოღვაწეების გამოსახატავად, მთავრობამ დამამცირებლად ჩასთვალა. სასამართლოს მიეცა მტკიცე დირექტივა რომ ამბოხებდა ამოიფხვრას, ძირ ფესვიანად.

სასამართლოში გაიშალა საინტერესო კამათი. პროკურორი მოითხოვდა ყველაზე გადაჭრულ ზომებს. დამცველი გაუბედვლად ამტკიცებდა, რომ სურათები ხელოვნების ნიმუშებია, რომლის მატარებელი ოტტო შნიცეა და არ არის განკუთვნილი ფართო საზოგადოებისათვის. მართალია მეზღვაური უნდა დაისაჯოს, მაგრამ საჭიროა მივცეთ ერთგვარი შეღავათი, რადგან მისი ტანის წარწერები დაფარული იყო კოსტიუმით. ასე რომ არსებითად იგი არც ისე საშიში იყო.

— მით უმეტეს! — წამოიძახა პროკურორმა — ეს ნიშნავს ფარულ პროპაგანდას. ეს ააშკარავებს ოტტო შნიცეს პოლიტიკურ სახეს.

— რა შუაშია აქ სახე? — სკადა გამართლებდა დამცველმა. — ოტტო შნიცეს სხეულზე წარწერებს სახესთან არავითარი კავშირი არა აქვს...

დამცველს წაართვეს სიტყვის თქმის უფლება. სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში.

ცოტა ხნის თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: გაიგზავნოს ოტტო შნიცე ციხეში, სადაც მიწვეულ იქნეს სპეციალისტი, რომელიც ამოსწავას აღმაშფოთებელ წარწერებს, რომლებითაც გაილაშხა სხეული დამნაშავემ.

ამგვარად თანამედროვე გერმანიაში გაუქმებულია კიდევ ერთი სურათების გალერეია. ჩვენი მოკლე მოთხრობის დასასრულს ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ავღნიშნოთ, რომ ამგვარი ბევრი საინტერესო ამავეი შეიძლება აღმოვაჩინოთ ახლანდელ გერმანულ გაზეთებში. ყოველი ცალკეული ეპიზოდი შტრიხია, განა არაფერს ამბობს ეს იმ „მრავალფეროვან“ ცხოვრების შესახებ. რომელიც მძიმე ნარეობს „მესამე იმპერიის“ გარემოში?

გ. რიკლინი

(თარგ. რუსულიდან)

*) აქი იყო მთვარიანი? ქ.



განათლებული გაცდობა,
უკან მისდევს ეს იფიქროს
და ჩვენს სივრცეში ამ ბოლო დროს
არ ენდობა მამა მისი.

უფრო მეტი:
— შეიქმნა ჩემი,
რად, თუ ტყველად წყალი ვხედავ
ქრის წელია შენს სწავლას და
განათლებლას ზედ გადავყავ
რაც შეიძლება, დავაბრუნებ.
განუწივალე, ვიკავალახე,
და რად, თუ ბოლოა შენს
მე ბერიო ვერა უნახე
ამყოლინაო ვილაღ გიგონს,
მისთვის ყველგან, მი თვის წესობა
ფიქრობდები ყველგან დასდევ,
შეიძამ მათთან დაწინააღმდეგ
და, მი თვისათვის დროს თუ კამათს
მისს უკან რომ დამაბრუნებ,
გაკეთებ ეს ჩემს სწავლას
გვიძახებ, რას შეიძლება?

უფრო მეტი:
— მამაჩემო
შავიანი რაღა ხარო
რად არ გავიქნა მამაჩემო და
მასწავლებელს მივუყვარო
ხომ მამადა, რომ ვმასწავლებო
ტყველად რაღა ვმასწავლებო
რისაც ვმასწავლებო, ყველგან
ფიქრობდები მამაჩემო
რად არ გავიქნა ჩემი სწავლა?
რად არ მამადავ ტყველად
მასწავლებელს მივუყვარო
ხომ წყველით მივუყვარო...

და დამთავრდა დავა უკვე
შეიძამ მამა, მი თვის
მასწავლებელს მივუყვარო
წყველით იგი სივრცეში
ყოველგან ტყველად მამაჩემო
ყოველგან ჩემს მამაჩემო
და რად არ მივუყვარო
მეიქნა არ იქნის მამაჩემო
თქვენს სივრცეში ხომ არ იქნის
რისთვის მამაჩემო სწავლა?

ხომ, ამა, რად არ არის
მისს გაუღიხა რომ ექვობით
არის არ იქნის თქვენს ბოლოს
განათლებლით ვერა სწავლობო.

მამაჩემო მამაჩემო გვეყავ
ხე ვიქნებით ტყველად თავად
სივრცეში ყველგან ტყველად
თითქმის და ხეივან ყველგან.

სივრცეში მამაჩემო წყველით
წყველით და დამაბრუნებ
— შეიქმნა, ამა, რად არ იქნის
რად არ ჩემს სწავლას.

მისს შეიძლება ადამი მივუყვარო
რომ არა გავიქნა მეტი ყველგან,
სწავლობდა სივრცეში გვიძახებდა...
ახლა რა ხარ იქნის ყველგან.

გვანა

სწავლობდა სივრცეში ყველგან და
რომ არა გავიქნა მეტი ყველგან,
სწავლობდა სივრცეში გვიძახებდა...
ახლა რა ხარ იქნის ყველგან.

ნან. ლინა



„დაჯილდოვებული“ — საკვირველია სამი წელიწადია დაფრინავს და ერობელა
არ ჩამოვარდება, რომ შვი მშვენიერა

ნან. ღონის

კიხის (ჩოხატაური): გვწერთ, რომ: **მშენებლობა დიდია, სულ იზრდება ქალაქი მაგრამ ბაზარს არა აქვს არხად ფეხისალაგა.**

მოგვაშველეთ ჩანგალი, რომ აქვს გრძელი ტარია, თორემ გვანჩხოვს ნიანგო, ანტისანიტარია.

ხოლო ამავე მდგომარეობის შესახებ, აი რას გვატყობინებს მეორე კორესპონდენტი ფარი:

— როგორ იცავთ ქალაქში სისუფთავებს? შევეკითხე ჩოხატაურის ქალაქის საბჭოს სანიტარულ კომისიის თავმჯდომარეს.

— განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სისუფთავის დაცვას ვებძვით ანტისანიტარიას, რომელსაც ჩვენს მიერ სასიკვდილო ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ამ მიზნით, ე. ი. სისუფთავის დაცვის მიზნით, ჩვენ ბაზარში, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს, არ ვაგვიკეთებია არცერთი საპირფარეშო.

სწორედ ასევე მოქცეულა ქუთაისის ქალაქის საბჭოს სანიტარული კომისიაც, როგორც ამას გვატყობინებს მოსული. ჩვენ არ ვიციტ ქუთაისში მაშაბაა ჩოხატაურს თუ პირიქით, ჩოხატაურმა — ქუთაისს. ხშირად ერთი და იგივე გენიალური აზრი თავში მოუდით ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ორ პიროვნებას. მოსალოდნელია, აქაც ასეთი შემთხვევას ჰქონდეს ადგილი. ამიტომ არ შეგვიძლია გადავწყვიტოთ მათ შორის პირველობის საკითხი.

იუბიანს (ბათომი). გვწერ, რომ ეს ლექსი სასადილოში დასწერეთ კერძის მოტანის მოლოდინში:

სანამ სადილს მომიტანდნენ,
 მომივიდა სტოლზე ძილი.
 მომიტანეს კატლეტი და
 სულ არ ჰქონდა მას მარილი,
 ლიმონათი მომიტანეს
 დაავიწყდათ ჭიქა,
 ნეტა ფეხი მომიტეხოდა
 არ შევსულიყავი იქა.

არ გისურვებთ ფეხის მოტეხას არა, ხოლო ფანქარს რომ სცერი მოტეხიდა და ეს წერილი არ დაგეწერაო, ჩვენც არ გვეწყინებოდა.

ეს ლექსი სადილის მოლოდინში დაგიწერიათ. საიდან იცოდით წინასწარ, რომ კერძს მარილი არ ექნებოდა? როცა კერძს მარილი არა აქვს, ანდა აკლია, ამის გამოსწორება იოლი საქმეა, დაუშვებებ საპირფარეშოდან, მაგრამ როცა წერილში მართო წყალია და მარილი არა, მას არაფერი ეშველება.

ო.რის (სადგ. აბაშა). ჩვენ დაგეთანხმებით, რომ მოლარე და სადგურის უფროსი ისევე შეხმატებილებულად „მუშაობენ“ როგორც ღვინის სმაში შეხმატებილებულად მღერიან. იმაშიაც გეთანხმებით, რომ სადგურის კეთილმოწყობას სადგ. უფროსი არ აქცევს არაერთარ ყურადღებას, რადგან:

ამისთვის არ სცალია,
 მუდამ არის მთვრალია
 ეს იმისი ბრალია,
 დვინო ბევრი დალია.

იმაშიაც გეთანხმებით, რომ მოლარე ნაცნობებს აძლევს ბილეთს და სხვებს — არა.



— დავიღუპე კაცი, ორი ათასი მანეთი დავკარგე!
 სად, როგორ, როდის?
 დავითვალე და ცხრა შვილი მყოლია მიტოვებული. ისინი რომ ჩემთან იყვნენ,
 ორი ათას მანეთს მივუღებდი ჯილდოს ახალი კანონ-პროექტით.

გოღოკრი

მაგრამ ვერ დაგიჯერებთ, რომ ტფილისში გამოსავლენი დაკლული ღორები სადღუროდან გაქცეულიყვნენ შინ. ეგებ ასეთივე სიმართლეა რასაც იწერებთ სადგ. უფროსისა და მოლარის შესახებ, ამიტომ ვერ ვბეჭდავთ თქვენს წერილს.

სამელენას (აქვე). საერთოდ ძალიან კარგი სურვილია „ნიანგში“ თანამშრომლობა. მაგრამ მარტო სურვილი როდის კმარა. რა მაინცდამაინც ხუცესიდან იწყებთ შემოქმედებას? ქურდი ხუცესის შესახებ (გვარსა და სახელს არ ვასახელებთ რომ მან არ მიიღოს თავისთავზე) გვწერთ, რომ ნაპარევი ვანძი ყუთში ჩადვა და ყუთი საკურთხეველში დამალაო.

„განისვენებს აქ თვით ღმერთი“ ყუთს ზევიდან დააწერა. ვერ გაქურდავს ვერავინო, გული ამით დააჯერა.

მაგრამ ერთხელ დამით თურმე შეეპარა ქურდი ერთი და მან ყუთზე წაწერა: აღარ არის აქა ღმერთი.

მიმყავს ჩემთან რადგან იგი თავის ნებით აღსდგა მკვრითი“... მღვდელმა ნახა მინაწერი, მოკვდა იქვე გულგანთქით.

თქმულება, რომ ქურდის ქურდი არ წაწყდებაო, — შესაძლებელია ამ შემთხვევაზე იყო თქმული, მაგრამ თქვენ ამისი იმედი ნუ გექნებათ და უფრო მეტი იმუშავეთ თავის თავზე.

მართვრის (აქვე). თქვენი „უდიდესი აღმოჩენა“ საინტერესოა იმით, რომ:

ა.კ. ინდ. ინ-ტის სახელდლოში ბორჩხში აღმოვაჩინეთ ხორცის ნაჭერი, რამაც დიდი გაკვირება გამოიწვია. ზოგი ამ მოვლენას მატერიალისტურ მსოფლმხედველობით მიუღვა და ასეთი აზრი გამოთქვა:

— ჩვენ სასადილოში კომერციულ კერძებსაც ამზადებენ. ალბად მზარეული შეცდმა ხორცის ერთი ნაჭერი უხორცო ბორჩხის ქვაბში ტყუპა!

ზოგი კი იდეალისტურად მიუღვა ამ მოვლენას და ამტკიცებდა:

— ასეთი შეცდომა არასოდეს მოხვლია ჩვენს მზარეულს, არც ახლა მოუფიქროდა. აქ განგება ე. ი. ღმერთია ჩარეული, მას შევეცოდეთ და, როცა მზარეული სამზარეულოში არ იყო, ხორცის ერთი ნაჭერი მოიპარა კომერციულ ქვაბიდან და ჩვენს ქვაბში ტყუპა.

ამ თქვენი „უდიდესი აღმოჩენიდან“ ჩვენ ის აღმოვაჩინეთ. რომ თქვენ, სტუდენტს, მოგეთხოვებათ ქართული ენისა და მართლწერის მეტი ცოდნა. გასოვდეთ, რომ „ქუზნა“ ქართულად სამზარეულოა, „პოვარი“ — მზარეული.

განცხადება

დაიკარგა უფრო-უკეთესად დაზღვეული ბარათი გამოგზავნილი წყალტუბოდან 19 მაისს № 582 მისამართით: ტფილისი გრიბოედოვის ქ. № 10. წყალტუბოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტონარის ბაშბე მნახველს თხოვს წერილი გადსცეს დანიშნულებისამებრ, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს.

„სოიუზგაბიუსტროიტობის“

საჩვენებელ მაღაზიასთან

№ 73

ჩიქის ქუჩა № 80

ჩამოყალიბდა არტელი

„ჩემუნი“

რომელიც ხელმისაწვდომ ფასებში



გეყოფათ ამ საქმეზე რაც დრო თქვენ დაგეკარგათ... „ჩემუნი“ შეაკეთებს იაფად, დროზე, კარგად.

აწარმოებს

ბინების შეკეთებას არ უნდა ბევრი რბენა რიყის ქუჩაზე არტელ „ჩემუნი“ მიმართეთ თქვენა

ბინებისა და სხვა შენობების

--- შეკეთებას ---

არგადის მასაღით.

მისრულებულ სამუშაოებს ამოწმებს მაღაზიის

○○○ მთავარი ინჟინერი. ○○○

სამუშაოების დაკვეთა ფიქლება

წ ე რ ი ლ ბ ი თ ა ს .


„სოიუზგაბიუსტროიტობის“ საჩვენებელ მაღაზიასთან № 73

○○ ჩიქის ქუჩა № 80 ○○

ყოველთვის იყიდება:

1. ლაკისა და ემალის საღებავები, ფუნჯები, ცემენტი, ცარცი, ალიბასტრი და სხვ
2. სახურავი თუნუქი და „ეტურნიტი“, რკინის ბადეები ფანჯრებისათვის, სამშენებლო ყოველგვარი ხელსაწყოები, ხრახნილები, ჩურკები, ზამბარები ავეჯელობისთვის და სხვ.
3. ყოველნაირი ასორტიმენტისა და ზომის მინები ფანჯრებისათვის, მრავალნაირი შპაღერი, სანფაინი, მუშაბა.
4. ყოველნაირი ელექტრომოწყობილობა, შნურები, ელნათურები, უმაღლესი ხარისხის ლუსტრები, ელექტრო-ფარფორი და სხვ.

ნაყიდი სამონლის აღგილგე მიტანა უფასოდ.



პ. მ. რედაქტორი ს. ეშული

მთავალიტის რწ. ბ — 10393.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“ კაბოს ქ. №-68

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ №-5

სიუნიზმი



„მესაბე იბაკრიის“ კონსტიტუცია — ვინ იტყვის, რომ ჩვენი კონსტიტუციით ქალები არ არიან გათანასწოებული მამაკაცებთან? ისინიც მამაკაცებს თანაბრად იხდიან სასჯელს.